

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი N 19

ხაშური

2018 წლის 7 აგვისტო

11-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, გურამ მაზიაშვილი,
ლევან გამრეკელი, ნოვე ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტები: მურმან
ცენგერაშვილი, თეა ჯაფარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : მაკა შუბითიძე-მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა
და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის
ფორმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7
სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის განხილვა.

მომხს. ა.ხარებავა

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის განხილვა.

მომხს. ა.ხარებავა.

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე;

მომხს. ა.ხარებავა.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნატო კიკაძემ, ჯონდო კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: დადგენილების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის მაკა შუბითიძის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ნოვე ტაბატაძემ, ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე;

აზრი გამოთქვას: ჯ.კაპაპანაძემ, , გურამ მაზიაშვილმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე

ა. ხარებავა

ანა ხარებავა